თემის სახელი: პირადი ბიუჯეტი
საფეხური: დაწყებითი საფეხური

მიზანი: მოსწავლეები გაიაზრებენ პირადი ბიუჯეტის ცნებას და მისი დაგეგმვის საჭიროებას;

კომპლექსური დავალების იდეა

შექმენით ბუკლეტი, სადაც ჩამოწერილი იქნება რეკომენდაციები ოჯახისთვის, როგორ მოხდეს ფულის დაზოგვა და პირადი ბიუჯეტის ეფექტურად დახარჯვა.

კომპლექსურ დავალებაში ხაზგასმით ჩანდეს:

- რა არის პირადი ბიუჯეტი და რატომ გვჭირდება ბიუჯეტის დაგეგმვა;
- რა ფაქტორები მოქმედებს პირადი ბიუჯეტის სწორად მართვაზე;
- როგორ განსაზღვრავს გააზრებული გადაწყვეტილება ფულის უკეთესად დახარჯვას;
- როგორ დაზოგოს და ხარჯოს ოჯახმა ფინანსები უკეთესად;

გაკვეთილი #1: ბიუჯეტი და მისი მნიშვნელობა

დასახელება	აღწერა	დრო
1.1 სიტუაციის ანალიზი - პირადი საფულე	მასწავლებელი კლასში ტოვებს საფულეს, სადაც წარმოდგენილია თანხა 5 ₾, სავიზიტო ბარათები, სამომხმარებლო ტიპის ბარათები. საფულის პოვნის შემდეგ კლასი ცდილობს დაადგინოს მოცემული პიროვნების : ა) ფინანსური შემოსავალი ბ) მსყიდველობითი უნარიანობა გ) სოციალური ფენა დ) პროფესია ე) ასაკი. შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას: როგორ ფიქრობთ, რა თანხა ეყოფა ამ ადამიანს ერთი კვირის განმავლობაში? რაში შეიძლება დახარჯოს ეს თანხა? თავად რა რაოდენობის თანხა სჭირდებათ ერთი კვირის განმავლობაში? რესურსი: საფულე, ბარათები, 5 ლარი	15 წუთი
1.2 პირადი გეგმის შედგენა და წარდგენა	მოსწავლეები განსაზღვრავენ თავიანთ საჭიროებებს (კვება, ტანსაცმელი, გართობა და ა.შ), რის მიხედვითაც გათვლიან ერთი კვირის ხარჯებს. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შემოსავლებისა და გასავლების აღრიცხვას გააკეთებენ, მასწავლებელი მათ დაუსვამს დამაზუსტებელ კითხვებს: • თუ დაფიქრებულან აქამდე ასე დეტალურად თავიანთ შემოსავალსა და ხარჯებზე? • მათი აზრით, რაში დაეხმარებათ შედგენილი გეგმა? • შეუძლიათ თუ არა ადამიანებს წინასწარ განსაზღვრული გეგმის გარეშე გაანაწილონ თანხები? • ვისთვის/რისთვის არის წარმოუდგენელი ხარჯთაღრიცხვის გარეშე გადაწყვეტილებების მიღება? (ორგანიზაცია, სახელმწიფო)	25 წუთი

	• რა ეწოდება როგორ ფიქრობთ შემოსავლებისა და გასავლების ნუსხას? (ბიუჯეტი, აქ შეიძლება ბიუჯეტის, როგორც ნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ან თავად დაგუგლონ სიტყვის მნიშვნელობა) • როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამ გეგმის მიხედვით ცხოვრებას? რესურსი: განრიგის ცხრილი, კალამი	

გაკვეთილი #2: სურვილი თუ საჭიროება

დასახელება	**აღწერა**	**დრო**
2.1 მიზნებისა და რესურსების ანალიზი; დისკუსია	მოსწავლეებს ურიგდებათ ფერადი ფურცლები, რომელზეც უნდა ჩამოწერონ თავიანთი მიზნები. ჩამოთვლილი მიზნებიდან უნდა მოახდინონ კატეგორიზება, რომელი მიზანია სურვილი და რომელი საჭიროება: **მიზნები** | **სურვილი** | **საჭიროება** | | | შეარჩიონ ერთი ყველაზე სასურველი მიზანი და სპეციალური სქემის მიხედვით აღწერონ რა ნაბიჯების გადადგმა (ქვემიზნები), რესურსები (ფინანსური, პირადი) და დრო დასჭირდებათ აღნიშნული მიზნის მისაღწევად. *პ.ს. მიზნების ჩამოყალიბება და მისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა აჩვენებს მოსწავლეებს ფულის საჭიროებას)* დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი დასვამს სადისკუსიო კითხვებს მთელი კლასისთვის: • რა გაჩვენათ დავალებამ, რა სჭირდებათ ადამიანებს მიზნების მისაღწევად?	40 წუთი

	• როგორ ჩნდება მიზნები ჩვენს ცხოვრებაში? • რა კავშირია სურვილებსა და საჭიროებებს შორის? • როგორ ფიქრობთ, თუ ადამიანები მთელ რესურსებს ყველა თავისი სურვილის დაკმაყოფილებას მოახმარენ, როგორ გაუმკლავდებიან მოულოდნელ საჭიროებებს? (ამ კითხვით მოსწავლეები უნდა დაფიქრდნენ დაზოგვის მნიშვნელობასა და საჭიროებაზე) • როგორ შეაფასებთ, თქვენ გარშემო ადამიანები, უფრო მეტად ზოგავენ თანხას თუ ხარჯავენ?	
2.2 როლური თამაში -„სუპერმარკეტი“	კლასში იქმნება ვირტუალური სუპერმარკეტი, შესაძლებელია ონლაინ რომელიმე სუპერმარკეტის ოფიციალურ გვერდზე შესვლა. მოსწავლეები იყოფიან სამ ჯგუფად და ეძლევათ ერთი და იგივე სიტუაციური ამოცანა. უნდა წარმოიდგინონ რომ მიემგზავრებიან უკაცრიელ კუნძულზე და სჭირდებათ ნივთები, რომლებიც მათი აზრით დაეხმარებათ კუნძულზე ცხოვრებასა და თავის გატანაში. მოსწავლეებს ეძლევათ ვირტუალური თანხა 20 ლარის ოდენობით და შეზღუდული დრო (12 წუთი). მათ ამ დროის განმავლობაში უნდა მოილაპარაკონ და შეთანხმდნენ რა ნივთებს იყიდიან და შემდეგ იზრუნონ ნივთების შეძენაზე. გამარჯვებული იქნება გუნდი, რომელიც ყველაზე მეტ საჭირო ნივთს შეიძენს და დროის ამოწურვის შემდეგ დასააბუთებს ყველა ნივთის საჭიროებას. განხილვის ეტაპზე მასწავლებელი დასვამს კითხვებს: • რას გრძნობთ, კმაყოფილი ხართ თქვენი გადაწყვეტილებებით? • რა ფაქტორები ახდენდა გავლენას თქვენს არჩევანზე თუ რომელი ნივთი შეგეძინათ? რის მიხედვით მიიღეთ გადაწყვეტილებები? • შეგეძლოთ თუ არა უკეთესი არჩევნის გაკეთება? თავიდან რომ იწყებდეთ თამაშს რას შეცვლიდით? • რეალურ ცხოვრებაში ნივთების შეძენისას, რა ფაქტორები ახდენს თქვენზე გავლენას? (ფასი, ხარისხი, საჭიროება, პროდუქციის მახასიათებლები, ცნობადობა) • ხშირად ნანობთ ნივთის შეძენას? • რა იყო ბოლო პერიოდში თქვენთვის დიდი/მნიშვნელოვანი შენაძენი?	40 წუთი

	• შეძენამდე იკვლიეთ თუ არა ნივთის შესახებ ინფორმაცია? (რამდენად ხარისხიანია, სად არის გამოშვებული, აღჭურვილია თუ არა ყველა იმ ფუნქციით რაც თქვენ გჭირდებოდათ) • თუ შეადარეთ ნივთის ფასები სხვადასხვა მაღაზიაში? • ამ ყველაფერზე დაფიქრების და გააზრების შემდეგ რას გრძნობთ, კვლავ კმაყოფილი ხართ თქვენ მიერ მიღებული დღევანდელი გადაწყვეტილებებით? • რაში დაგეხმარებათ ამ თამაშში მიღებული გამოცდილება? რაზე დაგაფიქრათ?	

გაკვეთილი #3: ექსპერიმენტი

დასახელება	**აღწერა**	**დრო**
3.1 ექსპერიმენტის შედეგების გაზიარება	მოსწავლეები ერთი კვირის განმავლობაში აგროვებენ შეძენის შემდეგ ჩეკებს და ერთი კვირის თავზე აკეთებენ ანალიზს: რა და რატომ შეიძინეს, რეალურად ჭირდებოდათ თუ არა ის ნივთები? როგორ შეიძლებოდა თანხის დაზოგვა? რას შეცვლიდნენ თავიანთ გადაწყვეტილებებში? მოსწავლეები ერთი კვირის გამოცდილებას და შთაბეჭდილებებს აზიარებენ პრეზენტაციის სახით.	25 წუთი
3.2 დისკუსია ექსპერიმენტის შედეგების გაზიარების შემდეგ.	სადისკუსიო კითხვები: • რამდენად სწორი გადაწყვეტილებები მიიღეთ ამ ერთი კვირის განმავლობაში? • რა გავლენას ახდენს სწორი ფინანსური გადაწყვეტილებები ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე? • როგორ ფიქრობთ, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად რა არის საჭირო? (უნდა მივიყვანოთ იმის გააზრებამდე რომ გადაწყვეტილება ეკონომიკურად სარგებლიანია თუ მოგება აღემატება დანახარჯს)	15 წუთი